05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,636.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	549.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	10.0
05 01 02	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	447.0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	92.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	971.2
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	961.2
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	162.5
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	778.0
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	20.7
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	10.0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	66.5
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.0

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში 10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

ლი სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება; ა. (ა). ი. კ. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე ტრანსპორტირებაში დახმარება; ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში;
მოსალოდნელი შედეგი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		447,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 15 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (80 ბავშვი); კალათბურთი (86 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (12 ბავშვი); ჭადრაკი და შაში (12 ბავშვი); მიუ-დო (66 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (16 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (16 ბავშვი); სამბო (18 ბავშვი); კარატე ტაიკვანდო (24 ბავშვი); კარატე კუნგ-ფუ-სანდა (24 ბავშვი); სპორტული კარატე (20 ბავშვი); რაგბი (24 ბავშვი); მძლეოსნობა (18 ბავშვი); მკლავჭიდი (15 ბავშვი). სულ 27 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია ბორითში, ხევში, კიციში, ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადამბურში, ლორეშაში, ვახანში, მოლითში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 450 მოსწავლე, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირამი 4-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 69 ადამიანი, მათ შორის 39 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 27 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი ტურიზმის მიმართულებით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: იღბლიანი ანკესი, ჯომარდობა, ხარაგაულელი პირველკურსელების გაცილება სტუდენტობის გზაზე, დაიცავი ბუნება განადგურებისაგან, ლედვის ბანაკი და სათავგადასავლო ტურ-თამაშები, იგნობდეთ ხარაგაულს და ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა კონკურს. პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით; უკანონო თევზჭერის დაგმობა და სპორტული თევზაობის პოპულარიზაცია. ჯომარდობის მნიშვნელობის გაზრდა, ხალგაზრდებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები; ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი ბავშვების გამოვლენა და მათი წახალისება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; მუნიციპალიტეტის მცხოვრები თითოეული მოზარდისათვის და მიმდებარე რაიონების მცხოვრები მოსახლეობისათვის ცნობადობის ამაღლება ჩვენი ღირსშესანიშნავი ადგილების და ძეგლების შესახებ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; - მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები.</p>		

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღდგენა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		92,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში სამი პროექტი, კერძოდ, დაბაში აშენდება ფრენბურთის მოედანი, სოფელ ღორეშაში მოეწყობა აფხაზეთში დაღუპული გელა კაპანაძის სახელობის ხელოვნურსაფარიანი მიწის მოედანი. სოფელ ვერტყვიჭალაში ღია სივრცეში მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები		

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	ათას ლარში
	05 02 01 01		დაფინანსება ათას ლარებში 162,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააპი ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა</p> <p>სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, კლასიკური გიტარის, საესტრადო ვოკალის, დრამის მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 93 მავშვი. სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 18 თანამშრომელს. დაფინანსება შეადგენს 162,5 ლარს. სკოლაში ფუნქციონირებს ვოკალურ ინსტრუმენტული ბენდი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>სამუსიკო განათლების ხელშეწყობის მიზანია : შემოქმედების მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვირის შემსწავლელი მიმართულებების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კოკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად, სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.</p>		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01 02		778,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი, 1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი.</p> <p>კულტურის ცენტრში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ბალეტისა და სამეჯლისო ცეკვების წრე, ფოლკლორული ანსამბლები, ვოკალური წრე, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, აღნიშნული წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 60-მდე აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 230-მდე მონაწილე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბიბლიოთეკო განყოფილება, მათ შორის 1 ცენტრალური, 1 საბავშვო, 1 პატარა ხარაგაულის და 22 სასოფლო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი ჯამში შეადგენს 196 225 ერთეულს. ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 4800 ადამიანს.</p> <p>ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, ტრადიციულად აქტიურად მონაწილეობს საბიბლიოთეკო კვირეულში, გრძელდება პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, რომლის ფარგლებშიც არაერთი ცნობილი სახე სტუმრობდა ხარაგაულს. აქტიურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება და მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია. აგრეთვე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკასთან არსებული ინოვაციების ცენტრი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ტრენინგები ტარდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. მოსარგებლეთა რაოდენობა 250 მდე ადამიანი.</p> <p>მრავალი ათეული წელია წარმატებით ფუნქციონირებს კულტურის ცენტრთან არსებული ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ასევე წარმატებულად მოღვაწეობს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, ლარი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ისტორიული მუზეუმი, ექსპონატების რაოდენობა 11 686 ერთეული; ვიზიტორები წლის განმავლობაში 4320; მუზეუმში ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტები: „პატარა არქეოლოგები“, „მონალისი გიდები“, „პატარა რესტავრატორები“, „ჩვენ ვხატავთ ანიმაციას“, „ფერწერილი მუსიკა“, „ექსპონანტი გაგოცხლებული ხარაგაულის ისტორია“, „შემოდგომა იმერეთში“, „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“, „მუზეუმებისა საერთაშორისო დღე“ და ა.შ. პერიოდულად იგეგმება საგამოფენო დარბაზის განახლება ექსპონატებით, მოეწყობა სხვადასხვა სახის ფერწერილი თუ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. ფუნქციონირებს ხატვისა და ქანდაკებების შემსწავლელი წრე, სადაც</p>		

	აღსაზრდელები ეუფლებიან სხვადასხვა მასალების გამოყენებით ფერწერული თუ კერამიკული ნამუშევრების შექმნას კულტურისა და ხელოვნების ცენტრში დასაქმებულია 122 თანამშრომელი.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის ცენტრის მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და ვოკალურ წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია

<i>ათას ლარში</i>			
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01 02		20,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს სორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ცენტრის მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. წარჩინებული ახალგაზრდობის უფასო სწავლება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო ახლობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ასევე სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება სპეციალური პროგრამით.		
მოსალოდნელი შედეგი	სალოტბარო სკოლის მოსწავლეების უფასოდ ჩართვა სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებულ ფესტივალებსა და ღონისძიებებში.		

<i>ათას ლარში</i>			
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.		

<i>ათას ლარში</i>			
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		66,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის		

	<p>ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება, ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს გაზეთ „ახალი ხარაგაულის გამოცემას“. ცენტრის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. გაზეთის საშუალებით მოსახლეობას სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, ბევრად ნაკლები დროსა და ენერჯის ხარჯზე. ცხელი ხაზის ძირითადი დატვირთვაა შემდეგი აქტივობები: მოქალაქეთა პრობლემების დაფიქსირება და შესაბამის საჯარო მოხელეებთან გადამისამართება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, სისტემატიურად იმართება შეხვედრები სოფლებში. ადგილზე გაცნობა მოსახლეობის პრობლემების და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებამდე მიტანის უზრუნველყოფა. ასევე კომპეტენციის ფარგლებში დახმარება.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ; ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.</p>

ათას ლარში

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 04</p>	<p>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში 30,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში ახლადაშენებულ საკათედრო ტაძარს შიდა მოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად და საეკლესიო ინვენტარის შესაძენად. ასევე დახმარება გაეწევა სკოლა-გიმნაზიას.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური ხელშეწყობა</p>		

ათას ლარში

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 05</p>	<p>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში 20,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: - ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან</p>		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსები სათვის განისაზღვროს 1 583,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

<p>პროგრამული კოდი</p>	<p>პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა</p>	<p>2022 წლის პროექტი</p>
------------------------	--	--------------------------

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 583,7
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	164,5
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	8,0
06 03	სოციალური დაცვა	1 411,2
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	450,0
06 03 02	კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	0,0
06 03 03	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	53,0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	350,0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	28,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	35,7
06 03 07	მარტოხელა შშმლების დახმარების პროგრამა	8,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	8,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარების პროგრამა	65,0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა	8,5
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	4,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	38,0
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	12,0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	10,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	25,0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება	140,0
06 03 18	უფასო სასადილო	130,0
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	10,0
06 03 20	გადაუღებელი რეაგირების ქვეპროგრამა	15,0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერნთა დახმარება	20,0

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		164,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა პროგრამის მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამშრომებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული</p>		

	<p>უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <p>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2(კოვიდ-19-ის დაავადებაზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე ზედამხედველობა) 2 იმუნიზაცია.</p> <p>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</p> <p>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია. მშენებლობა, აღჭურვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		8.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებული საექიმო ამბულატორიების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა, ასევე ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა. ქვეპროგრამის მიზანია სოფლის ამბულატორიების გამართული ფუნქციონირება და მოსახლეობისათვის პირველადი ამბულატორიული დახმარების შეუფერხებელი გაწევა		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საექიმო ამბულატორიების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ინტერნეტით აღჭურვა და სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 01		450.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევის და მომსახურების დაფინანსება:</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება კერძო დაზღვევის ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, თანადაფინანსება არაუმეტეს 1000 ლარამდე. ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში დახმარება გაიწევა 1500 ლარამდე.</p> <p>სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება არაუმეტეს 500 ლარისა. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში პოსტკოვიდური მდგომარეობის გართულების სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება კურორტ ნუნისში არაუმეტეს 1400 ლარისა.</p> <p>ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს 150 ლარამდე ერთჯერად დახმარებას მედიკამენტების შესაძენად მძიმე და ქრონიკული დაავადებებისას, კერძოდ:</p> <p>ა) ეპილეფსიის;</p> <p>ბ) პარკინსონის;</p> <p>გ) ბრონქიალური ასთმის;</p> <p>დ) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციის; ე) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100001-ს; ვ) კოვიდის და კოვიდის შემდგომი გართულებების მკურნალობისას.</p> <p>დახმარება გაიწევა ბენეფიციარებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ მედიკამენტებით დახმარების სახელმწიფო პროგრამაში. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	შპმ პირთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 03		53.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შექმნა. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის ღირებულება და/ან პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება წელიწადში 1000 ლარის ოდენობით. 2. 0-18 წლამდე ასაკის შშმ მედიკამენტოზური და სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 1200 ლარის ფარგლებში. 3. შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ აქვს სოციალური შეწყობა, ყოველთვიური დახმარება თვეში 30 ლარის ოდენობით. 4. შშმ პირთათვის სხვადასხვა სახის ღონისძიების მოწყობა (ექსკურსია, საგანმანათლებლო-განმავითარებელი ღონისძიება და სხვ.) ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა თანადგომა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების თანადგომა

<i>ათას ლარში</i>			
პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 04		350.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას. დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარისა. ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა		

<i>ათას ლარში</i>			
პროგრამის დასახელება	კოდი	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 05		28.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჰემოდიალიზით ჩანაცვლების სენსებით მოსარგებლე ბენეფიციარები, ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 150 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ლეიკემიით დაავადებულ პირებს, მუნიციპალიტეტი წელიწადში გაუწევს 600 ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის მიზანია პაციენტების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

<i>ათას ლარში</i>			
პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 06		35.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 001-ს და რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი. დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ თითოეულ ბავშვზე 100 ლარით ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.		

<i>ათას ლარში</i>			
პროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 07		8.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი. დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად 50 ლარით. ქვეპროგრამის მიზანია მატოხელა მშობლების თანადგომა
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობლების ფინანსური თანადგომა

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 08		8,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლეთა 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე ბავშვზე.		
მოსალოდნელი შედეგი	მარჩენალდაკარგულთა თანადგომა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ყოველთვიური ფინანსური დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 09		65,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მოსარგებლენი არიან: 1. დიდი სამამულო ომის ვეტერანები, 2. ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაერთიანებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსინათლოები 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები.		
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება განისაზღვრება თვეში 50 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი ჯგუფის მატერიალური თანადგომა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 10		8,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულ იმ ოჯახებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. 2. 2008 წლის წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახის დახმარება. ქვეპროგრამის მიზანია გმიერების ოჯახების თანადგომა		
მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების თანადგომა და მათი საფლავების მოვლა-პატრონობა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 11		4,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და ზევით ხანდაზმულთა დახმარება საიუბილეოდ 1000 ლარის ოდენობით		
მოსალოდნელი შედეგი	უხუცესთა პატივისცემა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 12		30,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის ვეტერანებს გაეწევათ ფინანსური დახმარება 200 ლარით. ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს _ 100 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით.		

	დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აუტიზმზე ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შექმნა. საკვები პროდუქტის შექმნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით. ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებსა და ღირშესანიშნავ თარიღებში მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა
მოსალოდნელი შედეგი	მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერა და სადღესასწაულო განწყობის შექმნა

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 13		12,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (65000 ქულის ჩათვლით) გარდაცლილის სარიტუალო მომსახურებისათვის გაიწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით. 2. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -300 ლარის ოდენობით. პირველ შემთხვევაში ოჯახის უფლებამოსილი წევრის, მეორე შემთხვევაში _ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ მერის ბრძანების საფუძველზე. ქვეპროგრამის მიზანია უკიდურესად დატაკი/უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის თანადგომა		
მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილის ოჯახის მხარდაჭერა/მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 14		10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა დაბაში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სათბობი მასალით.		
მოსალოდნელი შედეგი	უმწეო ოჯახების სათბობი მასალით უზრუნველყოფის ხელშეწყობა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 15		25,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება განისაზღვრება პირველი ბავშვის შექმნის შემთხვევაში 100 ლარით, მეორე ბავშვის შექმნის შემთხვევაში 150 ლარი და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი. ტყუპების შექმნის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შექმნის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით ქვეპროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება		
მოსალოდნელი შედეგი	ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 16		1,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250 ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილის პატივის მიცემა		
მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურება		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 17		140,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მიხედვით. დახმარება გაიწევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის დაზიანების კატეგორიების შესაბამისად. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. 2. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკარო ოჯახების და ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით ან საცხოვრებელი უზრუნველყოფა ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა		
მოსალოდნელი შედეგი	ოჯახების საცხოვრებელი პირობების შექმნა/გაუმჯობესება		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	უფასო სასადილო	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 18		138,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ., ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების კვირაში ექვსი დღე, დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა დახმარება საკვები პროდუქტებით.		
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მრავალშვილიანი ოჯახების საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, შიმშილის ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრა.		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 19		10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ა(ა)იპ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ა(ა)იპ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“		
მოსალოდნელი შედეგი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დაწესებულება. ამ მიზნით გაფორმდა სამხრეთი მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც გადაიხადდა 8 პედაგოგი, მომზადდა ადაპტირებული გარემო ჯგუფური მეცადინეობებისათვის. პროექტის მიხედვით 2021 წ. მერის უზრუნველყოფის ჯგუფური თერაპიის სერვისის ღირებულებების თანაგადახდასპროექტის მიზანია ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისის დაწესებულება და მოწყვლადი კატეგორიის ბავშვების ამ სერვისზე გეოგრაფიული წვდომა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	გადაუდებელი რეაგირების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 20		15,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ პირველად მხარდაჭერას, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დამლოს მოკლე დროში. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური, ქვეპროგრამის მოსარგებლეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ოჯახის წევრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. დახმარება გაიწევა განცხადების საფუძველზე, ოჯახში ვიზიტს ახორციელებს მობილური ჯგუფი, რომელიც აფასებს ოჯახის მდგომარეობას და საჭიროებას. მობილური ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს დახმარების სახეს და ახდენს შემდგომ		

	რეაგირებას ქვეპროგრამის მიზანია ოჯახის კრიზისის დაძლევა მოკლე დროში.
მოსალოდნელი შედეგი	სოციალური პასუხისმგებლობა

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 21		20,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ამოიცავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარისა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი - ვეტერანთა დახმარება მოსალოდნელი შედეგი - ვეტერანთა მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა		

მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს.

პროგრამული კოდი	დასახელება	მომუშავეთა რაოდენობა	2022 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	194	4 174,6
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	194	3 988,1
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	28	934,8
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	159	2 918,3
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	7	123,3
